ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 420

"23" დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული 464 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (მონუმენტის) (საკადასტრო კოდი: 01.16.02.007.051) ა(ა)იპ -„საქართველოს მთასვლელთა გაერთიანებული ფედერაციისთვის" (ს/კ: 402003309) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ, 464 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (მონუმენტის) (საკადასტრო კოდი: 01.16.02.007.051) ა(ა)იპ „საქართველოს მთასვლელთა გაერთიანებული ფედერაციისთვის" (ს/კ: 402003309) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 დეკემბრის №47.09.979 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული 464 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (მონუმენტის) (საკადასტრო კოდი: 01.16.02.007.051) ა(ა)იპ - „საქართველოს მთასვლელთა გაერთიანებული ფედერაციისთვის" (ს/კ: 402003309) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, სავარჯიშო ხელოვნური საცოცი კედლის მოწყობის მიზნით.

2. . უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის ვადა განსაზღვრულია 2 წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**